


სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ვ ა მ ტ კ ი ც ე პ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

 ზურაბ ბუცბურიკიძე

„--6--“-----06-----“ 2016 წელი

ეგზ. № 1

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის
ანგარიში N: 33/36

2016 წელი

სარჩევი

ანგარიშში გამოყენებული შემოკლებები	2
მნიშვნელოვანი შედეგები.....	3
შესავალი ნაწილი	5
აუდიტის ობიექტის მოკლე მიმოხილვა	6
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმოხილვა.....	7
შესყიდვები	10
გამოვლენილი ხარვეზები.....	11
„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“	13
პროექტები, რომლითაც ვერ სარგებლობს მოსახლეობა	14
მარტვილის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია	15
ქონების აღრიცხვა, განკარგვა და მართვა	16
გამოყენებული ხის მასალა	18
სამსახურებრივი ავტომანქანები	18
საწვავის ხარჯი	19
შტატგარეშე მოსამსახურეები	19
მუნიციპალიტეტის მიერ ა(ა)იპ-ების დაფუძნება, დაფინანსება და კონტროლი.....	20
დაუსაბუთებელი ხარჯები.....	22
სოციალური დახმარებები	23
აღრიცხვა-ანგარიშგება, ინვენტარიზაცია	24
შიდა აუდიტის სამსახური.....	25
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	26
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....	26

ანგარიშში გამოყენებული შემოკლებები

1. მარტვილის მუნიციპალიტეტი - მუნიციპალიტეტი.
2. მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობა - გამგეობა.
3. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო - საკრებულო.
4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - შპს.

მნიშვნელოვანი შედეგები

- ❖ მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდვების განხორციელების დროს დადებულ ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისათვის საჯარიმო სანქცია. 5 მიმწოდებლის მიერ 2015 წელს შეწყვეტილია 65.8 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულებები, რაზედაც დაკისრებული არ არის საჯარიმო სანქცია. (გვ. 11)
- ❖ 2014 წელს მუნიციპალიტეტმა სტადიონის რეაბილიტაციის პროექტის ექსპერტიზაში გადაიხადა 6.4 ათასი ლარი. მიუხედავად ექსპერტიზის დადებითი დასკვნისა, სამუშაოების წარმოების პროცესში აღმოჩნდა, რომ პროექტი შეიცავდა არსებით უზუსტობებს, მასში შეტანილი იქნა ცვლილებები და მშენებლობისათვის დამატებით გამოიყო თანხები. (გვ. 12)
- ❖ 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, შესყიდულია 4 საბავშვო ბაღის მშენებლობის, ელექტროწისქვილის მოწყობის, ტრანსფორმატორის შეძენა-მონტაჟის სამუშაოები ღირებულებით 212.0 ათასი ლარი. პროექტები არ არის დასრულებული და შედეგად ვერ სარგებლობს მოსახლეობა. (გვ. 14)
- ❖ მუნიციპალიტეტის მიერ არ ხორციელდება იჯარით გაცემული ქონებიდან მისაღები შემოსავლების სათანადო კონტროლი, 2016 წლის 1 იანვრისათვის გადაუხდელმა საიჯარო ქირამ შეადგინა 7.2 ათასი ლარი, ხოლო მოიჯარეებზე არ არის დარიცხული და მოთხოვნილი 1.7 ათასი ლარის საჯარიმო სანქცია. (გვ. 16)
- ❖ 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტის განკარგულებაში არსებული გრეიდერი გაქირავებულია მიმწოდებლებზე. 2014 წელს მისი ექსპლუატაციის დროს არასათანადო კონტროლის გამო მუნიციპალიტეტმა შესაძლოა ვერ მიიღო დაახლოებით 5.8 ათასი ლარის შემოსავალი. (გვ. 17)
- ❖ მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების ადმინისტრაციულ შენობებში არსებულ 732 კვ.მ ფართში სხვადასხვა ორგანიზაციები ისეა განთავსებული, რომ მათზე ფართები გადაცემული არ არის, შედეგად მუნიციპალიტეტი ვერ იღებს შემოსავალს. (გვ. 17)
- ❖ ავტომანქანების რაოდენობა, რომლებიც ემსახურება მუნიციპალიტეტს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით რეკომენდირებულ ოდენობას 2014 წელს აღემატებოდა 3 ერთეულით, ხოლო 2015 წელს კი - 2 ერთეულით. (გვ. 18)
- ❖ 2015 წელს მუნიციპალიტეტში კანონმდებლობით დადგენილი ზღვრული ოდენობით შეიძლება დასაქმებული ყოფილიყო 13 შტატგარეშე მოსამსახურე, ფაქტობრივად სხვადასხვა პერიოდში დასაქმებული იყო 16-დან 21-მდე მოსამსახურე. (გვ. 19)
- ❖ 2014-2015 წლებში ა(ა)იპ-ების მიერ არ არის წარმოდგენილი მონაცემები სუბსიდიით განსახორციელებელი პროგრამების ფარგლებში შესასრულებელი

ღონისძიებების შესახებ. არ არის დასაბუთებული რა სამუშაოები უნდა შეესრულებინათ, რა პერიოდულობითა და მოცულობით. (გვ. 20)

- ❖ 2015 წელს, 2013 წელთან შედარებით ა(ა)იპ-ების შტატები გაზრდილია 77 ერთეულით. თუმცა დოკუმენტურად არ არის დასაბუთებული კონკრეტულად რა გარემოებებით იყო გამოწვეული შტატების ზრდა. (გვ. 21)
- ❖ 2014-2015 წლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეძენილი 2509.6 ათასი ლარის სამშენებლო სამუშაოების ღირებულება მიმწოდებლებზე ანაზღაურებულია კანონმდებლობის დარღვევით, ფაქტობრივი დანახარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე. (გვ. 22)
- ❖ 2015 წელს საკრებულოს წევრებზე, რომლებიც არ არიან თანამდებობის პირები, შესაბამისი ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე გაცემულია 67.9 ათასი ლარი. (გვ. 23)
- ❖ გამგეობის ბუღალტერიის მიერ არ არის ნაწარმოები მემორიალური ორდერები. ბუღალტრული აღრიცხვა არ იძლევა სათანადო ინფორმაციას ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობისა და მის საკუთრებაში არსებული აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ. არ არის შედგენილი 2014-2015 წლების ფინანსური ანგარიშგებები. (გვ. 24)
- ❖ მუნიციპალიტეტში შიდა აუდიტის სამსახური შეიქმნა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაზე 9 თვის დაგვიანებით. 2014-2015 წლებში სამსახურს არ ჩაუტარებია გამგეობის სტუქტურული ერთეულების (სამსახურების) საქმიანობის აუდიტორული შემოწმება. (გვ. 26)

შესავალი ნაწილი

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2014-2015 წლების განმავლობაში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება შემდეგი საკითხები:

- მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამობა - საქმიანობის წარმართვისას, საჯარო რესურსების გამოყენებისას და ფინანსური ანგარიშგების შედგენისას მოქმედ საკანონმდებლო და სხვა აქტების მოთხოვნების დაუცველობა;
- არამართლზომიერი ხარჯვა - სახსრების ეკონომიურად ხარჯვის ვალდებულებების დაუცველობა;
- ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასანერგად.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა 2014-2015 წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. აქედან გამომდინარე, აუდიტმა მოიცვა მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების ბიუჯეტის გადასახდელები, ჯამში 21 127.9 ათასი ლარი.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილ იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2014-2015 წლების განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობითა და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის ვალდებულება ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეულ არსებით კანონშესაბამიანობებს.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის მიერ 2014-2015 წლებში განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს. აუდიტორული პროცედურები ჩატარდა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოებების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია შეცდომით.

აუდიტის ობიექტის მოკლე მიმოხილვა

მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 21 ტერიტორიულ ერთეულს, მათ შორის: ერთ ქალაქსა და 20 თემს. მუნიციპალიტეტის ტერიტორია მოიცავს 880.6 კვ.კმ-ს. მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 33.4 ათასს¹. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი მარტვილი.

მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის², საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

- o საბიუჯეტო პროცესის განხორციელება;
- o ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, განაკვეთების განსაზღვრა და ამოღება;
- o მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- o სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- o მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- o იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და სხვ.

¹ 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. <http://geostat.ge>

² 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე მოქმედებდა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონი.

თვითმმართველ ერთეულს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ის ახორციელებს ინფრასტრუქტურულ, სოციალურ-კულტურულ, სკოლამდელი განათლებისა და სხვა ღონისძიებებს, ხოლო სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებულია შემდეგი უფლებამოსილებები: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფა, ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვა.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 8 ა(ა)იპ, რომელთა დაფინანსების ძირითადი წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი. თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებულია ასევე ერთი შპს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმოხილვა

მარტვილის თვითმმართველ ერთეულს თავის უფლებამოსილებათა განსახორციელებლად გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი. ადგილობრივი ბიუჯეტის დამოუკიდებლობა გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებითა და გადასახდელების დამოუკიდებლად გაწევის შესაძლებლობით, რაც განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით.

ბიუჯეტის შემოსულობები მოიცავს ადგილობრივ გადასახადებსა და მოსაკრებლებს, ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციებიდან მიღებულ სახსრებს, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ტრანსფერებსა და სხვა შემოსულობებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონის - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის ერთიანი ბიუჯეტის შედგენაზე, რომელშიც კონსოლიდირებულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტები. მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალიტეტის ერთიანი ბიუჯეტი არ შედგენილა.

შემოსულობები

მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მიხედვით³, შემოსულობებმა სულ შეადგინა 20 544.1 ათასი ლარი.


³ დამტკიცებულია საკრებულოს მიერ.

წლების მიხედვით მონაცემები წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:
მუნიციპალიტეტის შემოსულობები (ათასი ლარი)

დასახელება	2014 წელი	2015 წელს	სულ
შემოსულობები	9795.7	10748.4	20544.1
შემოსავლები	9730.1	10732.1	20462.2
გადასახადები	209.8	219.9	429.7
გრანტები	9107.3	10036.5	19143.8
სხვა შემოსავლები	413.0	475.7	888.7
არაფინანსური აქტივების კლება	65.6	16.3	81.9
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის ცვლილების გარდა)	0.0	0.0	0.0
ვალდებულების ზრდა	0.0	0.0	0.0

2014-2015 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მიხედვით, შემოსავლების 94%-ს წარმოადგენს გრანტები, გადასახადის სახით მიღებული შემოსავალი შეადგენს 2%-ს, ხოლო დანარჩენი 4% უჭირავს სხვა შემოსავლებს.

შემოსავლები 2014-2015 წლებში (ათასი ლარი)



როგორც დიაგრამიდან ჩანს, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, 2015 წელს 10.1 ათასი ლარით არის გაზრდილი გადასახადები (5%-ით), გრანტები 929.2 ათასი ლარით (10%-ით) სხვა შემოსავლები 62.6 ათასი ლარი (15%-ით). შემოსავლების მატება ძირითადად მოდის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტებზე: 2015 წელს, წინა წლებთან შედარებით, გაზრდილია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებული თანხით 566.6 ათასი ლარით, აგრეთვე გათანაბრებითი ტრანსფერით - 371.4 ათასი ლარით. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ ტრანსფერები, წლების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

2014-2015 წლების განმავლობაში მიღებული ტრანსფერები

(ათასი ლარი)


სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი	2014 წელი	2015 წელი	სულ
გათანაბრებითი ტრანსფერი	4951.1	5322.5	10273.6
მიზნობრივი ტრანსფერი	163.0	154.2	317.2
კაპიტალური ტრანსფერი	3722.3	4329.6	8051.9
სპეციალური ტრანსფერი	270.9	230.2	501.1
სულ:	9107.3	10036.5	19143.8

გადასახდელები

მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების ბიუჯეტების შესრულების შესახებ ანგარიშების მიხედვით, გადასახდელებმა სულ შეადგინა 21127.9 ათასი ლარი⁴. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა შეადგენს 52%-ს, ხოლო ხარჯებს უჭირავს 48%.

ხარჯები წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:

ხარჯები 2014 -2015 წლების მონაცემებით (ათასი ლარი)



აღსანიშნავია, რომ ხარჯების ყველაზე დიდი წილი მოდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებისა და შპს-ის დაფინანსებაზე (41%)⁵. ხარჯებში ერთ-ერთი დიდი მაჩვენებლით წარმოდგენილია ასევე „შრომის ანაზღაურების“ მუხლი (32%) და „საქონელი და მომსახურების“ მუხლი (11%). გამგეობის და საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა ანაზღაურების სახით 2015 წელს გაცემულია 1 728.6 ათასი ლარი, გაწეული ხარჯების 32.1 %.

⁴ 2014 წელი - 10767.8 ათასი; 2015 წელი- 10360.1 ათასი ლარი.

⁵ ა(ა)იპ-ების მიერ მიღებული სუბსიდიების 70% მიმართულია დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაზე.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2014 წელს მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა (შტატით, შტატგარეშე და ა(ა)იპ-ებში) შრომის ანაზღაურებაზე გაწეულია მთლიანი ხარჯების 61%, 2015 წელს - 56%. ხარჯებში შრომის ანაზღაურების შემცირება ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ სამაშველო სამსახური 2014 წელს ირიცხებოდა თვითმმართველობის შემადგელობაში, ხოლო 2015 წლიდან გადავიდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში.

ნაშთის ცვლილება

2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს საბანკო ანგარიშებზე ნაშთის სახით ერიცხებოდა 2 001.8 ათასი ლარი. აქედან 2 000.1 ათასი ლარის ხარჯვა დაიგეგმა 2014 წელს. ფაქტობრივად ფულადი სახსრების გამოყენებით გამოწვეული ნაშთის ცვლილებამ შეადგინა 995.2 ათასი ლარი, ხოლო წლის ბოლოს არსებულმა ნაშთმა - 1 006.6 ათასი ლარი, საიდანაც 972.6 ათასი ლარის ხარჯვა დაიგეგმა მომდევნო წელს⁶. 2015 წელს ფულადი სახსრების დაგროვებით (მატება) გამოწვეული ნაშთის ცვლილებამ შეადგინა 400.2 ათასი ლარი და წლის ბოლოს საბანკო ანგარიშებზე დაფიქსირდა ნაშთი 1 406.8 ათასი ლარი⁷. სასურველია, მუნიციპალიტეტმა ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, საკუთარ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები მიმართოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განსახორციელებლად ან დაუსრულებელი პროექტების გასაგრძელებლად. ამასთან ბიუჯეტი იმგვარად დაგეგმოს, რომ არსებული თავისუფალი ნაშთი დროულად და მაქსიმალურად გამოიყენოს მოსახლეობის სასიკეთოდ.

შესყიდვები

2014-2015 წლების მონაცემებით, მუნიციპალიტეტის მიერ სულ გამოცხადდა 167 ტენდერი. მათ შორის:

- ხელშეკრულება დადებულია 110 შემთხვევაში.
- 39 ტენდერი არ შედგა, რომელთა ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო საინჟინრო მომსახურების, სამშენებლო სამუშაოების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ტექნიკური მომსახურების შესყიდვა. არშემდგარი ტენდერის შემდეგ განმეორებით გამოცხადდა ტენდერი ან შესყიდვა განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
- შეწყდა 6 ტენდერი, რაც ძირითადად გამოწვეული იყო შემსყიდველის მიერ არასწორად ატვირთული სატენდერო დოკუმენტაციითა და პრეტენდენტების მიერ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესყიდვების სააგენტოში გასაჩივრებით.
- უარყოფითი შედეგით დასრულდა 12 ტენდერი. აღნიშნული სტატუსის მინიჭების საფუძველი გახდა პრეტენდენტების დისკვალიფიკაცია, ტექნიკური ან საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის გამო.

⁶ 32.2 ათასი ლარი წარმოადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი და აუთსორსინგის სპეციალური ტრანსფერის თანხას, რომელიც დაბრუნდა 2015 წელს.

⁷ აქედან 875.0 ათასი ლარი ირიცხება კომერციულ ბანკში, დეპოზიტზე, ხოლო 531.8 ათასი ლარი სახელმწიფო ხაზინაში.

წლები	ელექტრონული ტენდერი		გამარტივებული ელექტრონული ტენდერი		გამარტივებულ შესყიდვა		კონსოლიდირებული ტენდერი		სულ	
	რაო-ბა	თანხა	რაო-ბა	თანხა	რაო-ბა	თანხა	რაო-ბა	თანხა	რაო-ბა	თანხა
2014 წელი	24	4019.7	23	352.5	475	4164.7	11	548.0	533	9084.9
2015 წელი	25	876.9	43	3537.9	316	1802.5	3	24.7	387	6242
სულ:	49	4896.6	66	3890.4	791	5967.2	14	572.7	920	15326.9

გამოვლენილი ხარვეზები

კრიტერიუმი 1: კანონმდებლობის მიხედვით, გამარტივებული შესყიდვის დროს მიმწოდებელთა შერჩევისას მუნიციპალიტეტმა უნდა გაითვალისწინოს მსგავსი შესყიდვების გამოცდილება, ჩაატაროს ბაზრის კვლევა, მოიძიოს და გამოავლინოს პოტენციური მიმწოდებლები. შემსყიდველი ორგანიზაციები, როგორც წესი მიმწოდებლისგან ითხოვენ შესასრულებელი სამუშაოების შესაბამის გამოცდილებას. აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილება ზრდის იმის ალბათობას, რომ მიმწოდებელი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტის მიერ 2014-2015 წლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებულია 18 ხელშეკრულება, რომლებითაც „სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა“ და სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში შეძენილია გზის საფარის, ბოგირების, სანიაღვრე არხების მოწყობის, შენობის რეაბილიტაციის, ხიდის რემონტისა და სხვა სამუშაოები, საერთო ღირებულებით 213.1 ათასი ლარი. აღნიშნული ხელშეკრულებები გაფორმებულია ისეთ მიმწოდებლებთან, რომლებიც დარეგისტრირებულნი იყვნენ ხელშეკრულების დადებამდე 1-30 დღით ადრე.

კრიტერიუმი 2: შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიმწოდებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს ის პირობები, რომლებიც დაიცავს შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესებს. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს სამუშაოს შესრულების ვადებს და სხვა პირობებს. ერთ-ერთი ასეთი პირობაა ვალდებულების დაგვიანებით ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებლისათვის საჯარიმო სანქციის დაკისრება.

გამოვლენილი გარემოება 1: მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდვების დროს დადებულ ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისათვის საჯარიმო სანქცია. 2015 წელს მიმწოდებლების მიერ სხვადასხვა მიზეზით სულ შეწყვეტილია 5 ხელშეკრულება, თანხით 65.8 ათასი ლარი, რადგან

⁸ მონაცემებში შედის 2013 წელს დადებული ხელშეკრულებებიც, რომლებიც განხორციელდა მომდევნო წელს.

ხელშეკრულებებით არ იყო გათვალისწინებული ხელშეკრულების შეწყვეტისათვის სანქცია, მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს ვერ დააკისრა პასუხისმგებლობა და იგი შემოიფარგლა მხოლოდ შესყიდვების სააგენტოსადმი მიმწოდებლების შავ სიაში შეტანის მოთხოვნით.

გამოვლენილი გარემოება 2: 2015 წელს მუნიციპალიტეტის მიერ 7 მიმწოდებლისათვის⁹ სამუშაოების დასრულების ვადა გადაწეულია უამინდობის მიზეზით, რაც ვერ ჩაითვლება განსაკუთრებულ მოვლენად, რომლის გათვალისწინება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შეუძლებელი იყო, ვინაიდან აუდიტის ობიექტმა ვერ დაადასტურა, რომ ადგილი ჰქონდა რაიმე ფორსმაჟორს, ჩვეულებრივისგან განსხვავებულ მდგომარეობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, საჯარიმო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციის ამოქმედება, რომ დაწყებულიყო სამუშაოების მიწოდების თავდაპირველი ვადის ამოწურვის შემდეგ, მიმწოდებლებს დაერიცხებოდათ ჯარიმა 5.6 ათასი ლარი, რომელიც მიმართული იქნებოდა ადგილობრივ ბიუჯეტში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს რისკი იმისა, რომ მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებს სამუშაოების დასრულების ვადა გადაუწია იმ მოტივით, რომ არ დარიცხვოდათ ჯარიმები.

რეკომენდაცია:

- გამარტივებული შესყიდვების განხორციელების დროს მუნიციპალიტეტმა შეარჩიოს ისეთი მიმწოდებლები, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი საქმიანობის გამოცდილება ან/და მუნიციპალიტეტთან ურთიერთობის დადებითი პრაქტიკა.
- მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტმა სამუშაოების შესყიდვის დროს მიმწოდებელთან ხელშეკრულება გააფორმოს კანონმდებლობის შესაბამისად ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნეს სამუშაოების დროული ჩაბარება, ხოლო მისი შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებლებზე შესაბამისი სანქციის გავრცელება.

შესყიდვებისას დაშვებული სხვა ხარვეზები

მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდვების განხორციელებისას დაშვებულია სხვადასხვა სახის ხარვეზები:

- მუნიციპალიტეტმა მარტვილის ცენტრალური სტადიონის სარიაბილიტაციო სამუშაოების პროექტი ექსპერტიზაში სსიპ - „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ გადაუხადა 6.4 ათასი ლარი. პროექტზე შენიშვნები არ ყოფილა. მიმწოდებელმა სტადიონის რეაბილიტაციის სამუშაოების დაწყებისას პროექტში აღმოაჩინა არსებითი უზუსტობები: სამუშაოების ნაწილი გამორჩენილი იყო, ნაწილი კი არასაკმარისი ოდენობით გათვალისწინებული. საჭირო შეიქმნა ხარჯთაღრიცხვის კორექტირება, დამატებითი სამუშაოების შერულება და დაფინანსების 92.5 ათასი ლარით გაზრდა. პროექტში გამოვლენილი უზუსტობების შესახებ მუნიციპალიტეტმა აცნობა სსიპ - „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“¹⁰, მაგრამ მათგან პასუხი არ მიუღია.

⁹ 2015 წლის ხელშეკრულებები; № 270; № 295; № 310; № 321; № 324; № 327; № 331;


¹⁰ 2014 წლის 5 სექტემბრის წერილი №1015.

- მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებლებთან გაფორმებული შესყიდვის ხელშეკრულებების მიხედვით სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარება გათვალისწინებულია ექსპერტიზის დასკვნის¹¹ წარმოდგენის შემდგომ. სამუშაოების ექსპერტიზის ჩატარება ჭიანურდება, საჭირო ხდება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გადაწევა. აღნიშნულის გამო სამუშაოები, დამთავრების ვადასთან შედარებით 1.5-2 თვის დაგვიანებითაა ჩაბარებული.
- მუნიციპალიტეტის მიერ რიგ შემთხვევებში შესყიდვები განხორციელებულია შესაბამისი მომზადების გარეშე. შედეგად: 2014 წელს ხარჯთაღრიცხვის კორექტირებით სახელშეკრულებო ღირებულების გაზრდის გამო შეწყდა ორი ხელშეკრულება თანხით 14.5 ათას ლარი, ხოლო მოსახლეობის მოთხოვნით ორი ხელშეკრულება თანხით - 5.9 ათას ლარი; 2015 წელს პროექტების ჩანაცვლებისა და ტექნიკური პირობების შეცვლის გამო შეწყდა ოთხი ხელშეკრულება ღირებულებით - 63.9 ათასი ლარი.
- 2013-2014 წლებში სოფელ აბედათში საბავშვო ბაღის მშენებლობა ისე მიმდინარეობდა, რომ მიწა, სადაც შენდებოდა ბაღი, მუნიციპალიტეტის საკუთრებას არ წარმოადგენდა და იგი ირიცხებოდა სახელმწიფო საკუთრებად.
- სოფელ სერგიეთში ბაღის მშენებლობა 2014 წლიდან ისე მიმდინარეობს, მშენებლობისათვის საჭირო მიწა (1700 კვ.მ) მუნიციპალიტეტის საკუთრებად საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული არ არის.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“

მუნიციპალიტეტის მიერ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 2014-2015 წლებში ჯამში გახარჯულია 2297.3 ათასი ლარი, საიდანაც მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებამ შეადგინა 7.2 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენი თანხა მიღებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

(ათასი ლარი)



¹¹ სსიპ - „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ გაცემული.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ძირითადად შესყიდულია გზების რეაბილიტაციის, წყლის სისტემების მოწესრიგების, საბავშვო ბაღების მშენებლობის, სასფლაოების კეთილმოწყობისა და სხვა სამუშაოები. მუნიციპალიტეტში პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაოები რიგ შემთხვევაში გარდამავალია და რამდენიმე წლის განმავლობაში სრულდება.

პროექტები, რომლითაც ვერ სარგებლობს მოსახლეობა

კრიტერიუმი: „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გამოყოფილი თანხების მიზნობრიობის ერთ-ერთი კრიტერიუმის მიხედვით, პროგრამის ფარგლებში შესყიდული სამუშაო მიმართული უნდა იყოს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობის მატერიალური, ყოფითი, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. განხორციელებული პროგრამის დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი უნდა აისახოს სოფლის მოსახლეობაზე.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული სამუშაოების შემდგომი გამოყენების შესწავლით გამოვლინდა, რომ ზოგ შემთხვევაში სოფლის მოსახლეობა ვერ სარგებლობს პროგრამის ფარგლებში შესრულებული პროექტებით, კერძოდ:

➤ საანგარიშო პერიოდში სოფლებში განხორციელებულია საბავშვო ბაღების მშენებლობის, რემონტისა და კეთილმოწყობის სამუშაოები, რომელიც გრძელდება რამდენიმე წლის განმავლობაში და დასრულებული არ არის. მუნიციპალიტეტის მიერ ამ მიზნით 4 სოფელში (ინჩხური, სერგიეთი, თამაკონი, გაჭედილი) გახარჯულია 198.7 ათასი ლარი და მოსახლეობა ვერ სარგებლობს ამ პროექტებით.

➤ 2014 წელს მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლისგან შეისყიდა დოზაყეს ტერიტორიულ ერთეულში, ლეჟვანეს უბანში, ელექტროწისქვილის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 5.4 ათასი ლარი¹². პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ვერ მოხერხდა წისქვილის დაერთება ელექტროენერგიის მომარაგების წყაროსთან. შესაბამისად, მოსახლეობა ამ პროექტით ვერ სარგებლობს.

➤ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ კურზუმში მდებარეობს მინი ჰესი¹³, რომელიც ელექტრო ენერგიას აწვდის სოფლის მოსახლეობას. ჰესიდან მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალიტეტმა 2014 წელს შეისყიდა ელ.ტრანსფორმატორი და მისი მონტაჟის სამუშაოები, ღირებულებით 7.9 ათასი ლარი¹⁴. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ტრანსფორმატორი ელექტროსისტემაში ჩართვა ვერ მოხერხდა შესაბამისი ხაზების არ არსებობის გამო. მოსახლეობა ვერ სარგებლობს აღნიშნული პროექტით.

ამდენად აღნიშნული სამუშაოები ვერ აკმაყოფილებს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ მიზნობრიობას და მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული 212.0 ათასი ლარის სამუშაოებით მოსახლეობა ვერ სარგებლობს.

¹² 2014 წლის ხელშეკრულება №180, მიმწოდებელი ი/მ „გოჩა თოდუა“.

¹³ კოოპარატი „კურზუსჰესი“, რომელიც დაფუძნებულია სოფლის მცხოვრებლების მიერ.

¹⁴ 2014 წლის ხელშეკრულება №262, მიმწოდებელი ი/მ „გოჩა ბერია“.

რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხებით იმ პროექტების განხორციელება, რომელთა დადებით ეფექტი დროულად აისახება ადგილობრივ მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

მარტვილის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია

კრიტერიუმი: კანონმდებლობის მიხედვით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორები უნდა შეთანხმდნენ წილების განაწილებაზე და დათქვან კაპიტალში მათი შენატანის ოდენობა. შენატანი შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური ქონება. პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის მიერ კაპიტალში შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი¹⁵.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტისა და საფეხბურთო კლუბ შპს „მერანი“-ს მიერ 2013 წელს დაფუძნებულია შპს „მარტვილი ცენტრალ გრუპ“-ი, რომლის წესდებაში 2014 წელს შეტანილი ცვლილებით, საზოგადოების კაპიტალში პარტნიორების შენატანები და წილები განისაზღვრა, მუნიციპალიტეტის მხრიდან 600.0 ათასი ლარით, ხოლო შპს „მერანის“ მხრიდან 152.2 ათასი ლარის ღირებულების უძრავი ქონებით: ქ.მარტვილში, თბილისის ქუჩა №7-ში მდებარე ორი მიწის ნაკვეთით (8368 კვ.მ. ღირებულებით 100.7 ათასი ლარი და 1716 კვ.მ. ღირებულებით 51.5 ათასი ლარი). წესდებით თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა განსაზღვრული არ არის. პარტნიორთა წილები კაპიტალში გადანაწილდა: მუნიციპალიტეტისათვის 79.8%, ხოლო შპს „მერანი“-სათვის-20.2%, ხმის უფლება კი შეაბამისად 49% და 51%.

2014 წელს მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მარტვილის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციისათვის გამოეყო 621.0 ათასი ლარი. აღნიშნული სტადიონი წარმოადგენს მარტვილის საფეხბურთო კლუბ „მერანის“ საკუთრებას.

2014 წლის ივნისში აღნიშნული სამუშაოების შესრულების მიზნით, მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა ტენდერში გამარჯვებულ შპს „ტოტალ“-თან, თანხით 589.9 ათასი ლარი. სამუშაოები უნდა დამთავრებულიყო 16 სექტემბერს. დამთავრების ვადამ რამდენჯერმე გადაიწია და იგი დასრულდა 26 დეკემბერს. შემდგომ სსიპ - „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ სტადიონის ჩაუტარდა ექსპერტიზა, აგრეთვე „ფიფას“ ორ ვარსკვლავიანი სტანდარტით ტესტირება და ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარება მოხდა 2015 წლის 11 თებერვალს, თანხით 615.6 ათასი ლარი.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით შპს „მარტვილი ცენტრალ გრუპ“-ში მუნიციპალიტეტის მიერ ფულადი და ქონებრივი შენატანი არ ფიქსირდება, და არანაირი

¹⁵ საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“-მუხლი 3, პუნქტები 5 და 7.

დოკუმენტაცია არ არსებობს თუ რა ფორმით ან რა ვადით მოხდა სტადიონის გადაცემა შპს „მარტვილი ცენტრალ გრუპ“-ისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც შპს „მერანის“ მხრიდან არ მომხდარა მისი კუთნილი უძრავი ქონების (ორი მიწის ნაკვეთის) შპს „მარტვილი ცენტრალ გრუპ“-ის კაპიტალში შეტანა.

ქონების აღრიცხვა, განკარგვა და მართვა

ქონების აღრიცხვა

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით¹⁶ აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებს წარმოადგენს: შეძენა, გაყიდვა, უსასყიდლოდ მიღება, უსასყიდლოდ გადაცემა, საკუთარი სახსრებით ან ხელშეკრულების საფუძველზე წარმოება და ძირითადი კაპიტალის მოხმარება. ბუღალტრულ ანგარიშებზე ჩანაწერების შეტანის საფუძველს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელიც ასახავს ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტს. პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები შედგენილ უნდა იქნეს სამეურნეო ოპერაციების მოხდენის მომენტში და აღრიცხვაში ასახვის მიზნით, ბუღალტერიას უნდა გადაეცეს არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით¹⁷ უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლება წარმოიშობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საფუძველზე.

გამოვლენილი გარემოება: 2016 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებად საჯარო რეესტრის მიერ რეგისტრირებულია 13 011 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 22 ნაკვეთი. აღნიშნული ქონება მუნიციპალიტეტის მიერ არ არის შეფასებული და შესაბამისად, ასახული ბუღალტრულად რიცხულ ნაშთებში.

მუნიციპალიტეტის ბუღალტრულ ნაშთებში (ქონების ჩამონათვალში) ირიცხება ისეთი უძრავი ქონება, რომელიც საჯარო რეესტრში მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირებული არ არის. კერძოდ: სხვადასხვა სოფლებში განლაგებული საბავშვო ბაღები, მუსიკალური სკოლები, კულტურის სახლები, გასართობი და სპორტული ცენტრები, მინი მოედნები, მოსაცდელეები, გზები, ხიდები და სხვა.

იჯარით გაცემული და გაქირავებული ქონება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტი მის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარით გაცემისას მოიჯარესთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომელიც როგორც წესი, ითვალისწინებს საჯარიმო სანქციების გავრცელებას ხელშეკრულების პირობების, კერძოდ საიჯარო ქირის დრულად ჩაურიცხაობისათვის. იჯარიდან მისაღები შემოსავლები უნდა აღრიცხოს მუნიციპალიტეტის ბუღალტერიამ და გამოყვანილი იქნეს დავალიანებები. მუნიციპალიტეტმა უნდა აკონტროლოს მოიჯარეების მიერ დაქირავებული ქონების გამოყენება და უზრუნველყოს ტექნიკის გაქირავების შედეგად მიღებული შემოსავლების სრულად აღრიცხვა.

¹⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 5, პუნქტი 2-3, მუხლი 23, პუნქტი 1.

¹⁷ მუხლი 11, პუნქტი 1.

გამოვლენილი გარემოება 1: მუნიციპალიტეტის მიერ 2014-2015 წლებში 16 მოიჯარეზე გაცემულია მის საკუთრებაში არსებული ფართები, საიდანაც იჯარის სახით ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ შეადგინა 8.9 ათასი ლარი. გამგეობის მიერ არ ხდებოდა იჯარით გაცემული ქონებიდან მისაღები შემოსავლის სათანადო აღრიცხვა: საიჯარო ქირის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში არ იყო გამოყვანილი გადაუხდელი საიჯარო ქირის ნაშთები (საიჯარო ქირის დავალიანებები); არ არის დარიცხული და მოთხოვნილი მოიჯარეებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გადახდა; იჯარის დაგვიანებით გადამხდელებზე მუნიციპალიტეტის მიერ ღონისძიება არ გატარებულა.

მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით გადაუხდელი საიჯარო ქირა 2014 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 1.0 ათასს ლარს, ხოლო 2016 წლის 1 იანვრისათვის კი 7.2 ათასს ლარს.

აუდიტის დროს ჩვენს მიერ გამოანგარიშებული იქნა მოიჯარეებზე დასარიცხი საურავი. 2016 წლის 1 იანვრისათვის ქირის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადაში გადაუხდელობაზე საჯარიმო სანქციამ (საურავი) 3 მოიჯარეზე შეადგინა 1.7 ათასი ლარი¹⁸.

გამოვლენილი გარემოება 2: 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტის განკარგულებაში ირიცხებოდა სპეციალური ტექნიკა-გრეიდერი, რომლის გაქირავება ხდებოდა მიმწოდებლებზე. საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 11 ივლისის №104 ბრძანებით გრეიდერის ერთჯერადად გაქირავების შემთხვევაში, ერთი საათის საიჯარო ქირა (საწვავის გარეშე), განისაზღვრა 60 ლარით¹⁹. გამგეობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით მუნიციპალიტეტმა 2014 წელს გრეიდერი შვიდ მიმწოდებელზე ერთჯერადად გააქირავა სულ 34.3 საათის განმავლობაში, საიჯარო ქირის სახით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 2.1 ათასი ლარი, 2015 წელს ორ მიმწოდებელზე კი სულ 18 საათის განმავლობაში, ქირის შემოსავალმა შეადგინა 1.1 ათასი ლარი.

შემოსავლების დაკარგვის რისკზე საპასუხოდ აუდიტის ჯგუფმა განახორციელა აუდიტორული პროცედურები. კერძოდ, მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული, ტექნიკის გაქირავების შედეგად მიღებული საათობრივი და თანხობრივი მაჩვენებლები შეუდარა შემსრულებლების მიერ წარდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტების (ფორმა №2-ის) მონაცემებს. შედეგად დადგინდა: წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტების (ფორმა №2) მიხედვით 2014 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მიერ გრეიდერი შესაძლოა გაქირავებულია 133.7 საათის განმავლობაში, ამ შემთხვევაში საიჯარო ქირის სახით მუნიციპალიტეტი მიიღებდა 7.9 ათასი ლარის შემოსავალს, ანუ მიღებულ თანხაზე 5.8 ათასი ლარით მეტს.

ქონების მართვა

კრიტერიუმი: ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით²⁰ მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას შესაძლებელია შემდეგი ფორმების გამოყენება: უზუფრუქტი, ქირავნობა, იჯარა ან თხოვება. მუნიციპალიტეტის

¹⁸ 2014 წელს 0.9 ათასი ლარი 2015 წელს 0.8 ათასი ლარი.

¹⁹ ქირის ოდენობა დადგენილია სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ექსპერტის დასკვნით.

²⁰ მუხლი 122, პუნქტი 1 და 2.

ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულება იდება მუნიციპალიტეტის გამგობასა და დაინტერესებულ პირს შორის.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების ადმინისტრაციულ შენობებში განთავსებულია სხვადასხვა სახელმწიფო და კომერციული ორგანიზაციები: 2 თემში პოლიციის განყოფილებას დაკავებული აქვს 410 კვ.მ ფართი; 4 თემში განთავსებულია საექიმო ამბულატორიები, რომელთაც დაკავებულია აქვთ 150 კვ.მ.-ის ფართი; 5 თემში სს „ლიბერთი ბაკს“ დაკავებული აქვს 118 კვ.მ ფართი; 2 თემში განთავსებულია ა(ა)იპ „კომპიუტერული ცოდნის ცენტრი“, დაკავებული აქვს 39 კვ.მ ფართი; ერთ თემში 15 კვ.მ ფართზე განთავსებულია აფთიაქი. პასუხისმგებელი პირების განმარტებით ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოს ადმინისტრაციულ შენობებში არსებული 732 კვ.მ ფართში ისეა განლაგებული სხვადასხვა ორგანიზაციები, რომ მათთან ხელშეკრულებები ფართის დაქირავებაზე გაფორმებული არ არის და არც რაიმე სხვა ფორმითაა გაცემული. ამდენად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების არასწორი განკარგვის შედეგად თვითმმართველი ერთეული ვერ იღებს შემოსავალს ქირის სახით.

რეკომენდაცია: მეწარმე სუბიექტებისა და ორგანიზაციების მოთხოვნის შემთხვევაში მუნიციპალიტეტმა ადმინისტრაციულ შენობებში არსებული თავისუფალი ფართები გაცეს კანონმდებლობით დადგენილი ფორმების შესაბამისად.

გამოყენებული ხის მასალა

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდულ სამშენებლო სამუშაოებში მიმწოდებლის მიერ გამოყენებული ხის მასალა, რომლის დემონტაჟი ხორციელდება სამუშაოების დასრულების შემდეგ, წარმოადგენს სამუშაოების დამკვეთის საკუთრებას.

გამოვლენილი გარემოება: 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდულ სამშენებლო სამუშაოებში, მიმწოდებლების მიერ შეძენილი და გამოყენებულია 99.0 ათასი ლარის ღირებულების ხის მასალა. სამუშაოების დასრულების შემდეგ ხორციელდებოდა აღნიშნული ხე-მასალის დემონტაჟი. მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირის განმარტებით სამუშაოების შესყიდვის დროს ერთჯერადად გამოყენებული ხის მასალის უკან დაბრუნება და შემოსავალში აყვანა, შესაბამისი დებულების არქონის გამო, არ ხდებოდა.

სამსახურებრივი ავტომანქანები

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილებით²¹, საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის, სამტატო რიცხოვნობის მიხედვით, განსაზღვრულია ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზღვრული ოდენობები. აღნიშნული სამართლებრივი აქტის მოთხოვნათა დაცვა თვითმმართველი ერთეულებისათვის

²¹ „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“.

სარეკომენდაციო ხასიათისაა. მუნიციპალიტეტს თანამშრომლების სამსახურებრივი მიმოსვლისათვის უნდა გამოეყენებინა 2014 წელს - 5 ერთეული, ხოლო 2015 წელს - 6 ერთეული ავტომანქანა.

გამოვლენილი გარემოება: საკრებულოსა და გამგეობას 2014-2015 წლებში ემსახურებოდა 8 ერთეული ავტომანქანა. აუდიტის ობიექტის მიერ საქართველოს მთავრობის რეკომენდაცია გათვალისწინებული არ არის. კერძოდ, მუნიციპალიტეტი 2014 წელს განკარგავდა დასაშვებზე 3, ხოლო 2015 წელს - 2 ერთეულით მეტ ავტომანქანას.

საწვავის ხარჯი

კრიტერიუმი: არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე საკრებულოს მიერ შეიძლება დამტკიცებული იქნეს ხარჯის გაწევის ზღვრული ოდენობები, მათ შორის საწვავის ხარჯვის ლიმიტები. როგორც წესი, საწვავი შეიძლება გაიცეს თვითმმართველობის ბალანსზე რიცხულ ავტომანქანებზე, საკრებულოსა და გამგეობის თანამდებობის პირებზე, სამსახურების უფროსებზე. ლიმიტები და იმ პირთა რაოდენობა, რომლებზეც გაიცემა საწვავი, უნდა განისაზღვროს ობიექტური საჭიროებიდან გამომდინარე და უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის გაანგარიშებას.

გამოვლენილი გარემოება: 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულია თანამშრომლებზე გასაცემი საწვავის ყოველთვიური ზღვრული ოდენობები-ლიმიტები²². დამტკიცებული ლიმიტის მეშვეობით, 2014-2015 წლებში, გარდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანებისა, საწვავი გაცემულია საკრებულოს ანაზღაურებად და არაანაზღაურებად წევრებზე, ტერიტორიულ ორგანოებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებზე, სამსახურის და განყოფილების უფროსებზე, აგრეთვე სხვადასხვა თანამშრომლებზე, სულ 76 პირზე. 2014 წელს გაცემულია 79.6 ათასი ლარის, ხოლო 2015 წელს 63.2 ათასი ლარის ღირებულების საწვავი. სულ სააუდიტო პერიოდში საწვავის ხარჯმა 142.8 ათასი ლარი შეადგინა. საკრებულოს მიერ საწვავის ხარჯვის ლიმიტები დამტკიცებულია შესაბამისი დასაბუთების გარეშე. არ არის არგუმენტირებული იმ პირთა რაოდენობა, რომლებზეც დადგენილია საწვავის ხარჯვის ლიმიტები.

შტატგარეშე მოსამსახურეები

კრიტერიუმი 1: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად²³, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში, არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტის შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გამგეობის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობის 10%-ს. მუნიციპალიტეტში შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 13 ერთეულს.

²² საკრებულოს 2013 წლის 30 დეკემბრის №44 განკარგულება; 2014 წლის 25 დეკემბრის №68 განკარგულება.

²³ მუხლი 8.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტის მიერ შტატგარეშე მოსამსახურეებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არ შეიცავს რაიმე კონკრეტულ დავალებას, იგი აწესრიგებს შრომით ურთიერთობებს მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

2015 წლის მანძილზე გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებში დასაქმებულია იყო სხვადასხვა რაოდენობის შტატგარეშე მოსამსახურეები, რომელთა რიცხოვნობა თვეების მიხედვით 16-დან 21-მდე იცვლებოდა. მათ შორის: 5 თვე ირიცხებოდა 19, 3 თვე 18, 2 თვე 20, ხოლო თითო თვე 16 და 21 შტატგარეშე მოსამსახურე. აღნიშნული რიცხოვნობა 3-7 ერთეულით

კრიტერიუმი 2: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად²⁴ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარისა და გამგებლის უფლებამოსილებას განეკუთვნება მოსამსახურებათა წახალისება. შტატგარეშე თანამშრომელთა წახალისება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ამას ითვალისწინებს მათთან გაფორმებული ხელშეკრულება.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტში 2014-2015 წლებში პრემიის სახით სულ გაცემულია 605.5 ათასი ლარი, მათ შორის 2014 წელს - 328.5 ათასი, ხოლო 2015 წელს - 277.0 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ პრემიის გაცემასთან დაკავშირებით დებულება შემუშავებულია 2014 წლის ბოლოს²⁵. პრემიები გაცემულია საკრებულოს თავჯდომარის და გამგებლის ბრძანებების საფუძველზე, როგორც საკრებულოსა და გამგეობის შტატში რიცხულ, აგრეთვე შტატგარეშე (ხელშეკრულებით აყვანილ) თანამშრომლებზე.

მუნიციპალიტეტის შტატგარეშე მოსამსახურეებზე გაცემულია დამატებითი ანაზღაურება - პრემია, სულ 2.5 ათასი ლარი²⁶. შტატგარეშე მოსამსახურეებზე პრემიები გაცემულია ისე, რომ მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები არ ითვალისწინებდა წახალისებას.

მუნიციპალიტეტის მიერ ა(ა)იპ-ების დაფუძნება, დაფინანსება და კონტროლი

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტს თავისი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით უფლება აქვს, დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ორგანიზებას გაუწევს ერთობლივ ღონისძიებებს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სფეროში²⁷. ა(ა)იპ-ის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება ხდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდიით. სუბსიდიები წარმოადგენს²⁸ საწარმოებსა და ორგანიზაციებზე ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერებს. გასაცემი სუბსიდიის გაანგარიშება მუნიციპალიტეტის მიერ უნდა მოხდეს მისი მოთხოვნის დროს. ა(ა)იპ-ების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კონტროლი და ზედამხედველობა

²⁴ 35 და 54 მუხლების პირველი პუნქტები.

²⁵ საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის № 41 დადგენილება.

²⁶ 2014 წელს - 1.3 ათასი ლარი. 2015 წელს - 1.2 ათასი ლარი.

²⁷ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 20, პუნქტი 1 და 2.

²⁸ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 25 აგვისტოს № 672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“.


ევალუა თვითმმართველობას. 2014 წლის ადგილობრივი არჩევნებამდე ეს ფუნქცია ეკისრებოდა საკრებულოს, ხოლო შემდეგ გამგეობას.

გამოვლენილი გარემოება 1: 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა და ფინანსდებოდა 8 ა(ა)იპ, რომელთაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული აქვთ 3628.7 ათასი ლარის სუბსიდია.

გასაცემი სუბსიდიის გაანგარიშება მისი მოთხოვნის დროს მუნიციპალიტეტის მიერ არ განხორციელებულა. ბიუჯეტში ა(ა)იპ-ების დაფინანსება განისაზღვრებოდა მათ მიერ წარმოდგენილი ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციისა და საშტატო ნუსხების მიხედვით, არ არის წარმოდგენილი სუბსიდიით განსაზღვრებული პროგრამების ფარგლებში შესასრულებელი ღონისძიებები. მაგალითად, ა(ა)იპ „კეთილმოწყობის ცენტრის“ შემთხვევაში არ არის დასაბუთებული მიღებული სუბსიდიით რა სამუშაოები უნდა შესრულებინათ, რა პერიოდულობითა და მოცულობით. არც ხელშეკრულებით ან რაიმე ფორმით არის მიცემული დავალება კონკრეტული სამუშაოს შესრულებაზე. ა(ა)იპ საქმიანობდა მისი წესდებით განსაზღვრული ზოგადი სამუშაოების მიხედვით. საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ „კეთილმოწყობის ცენტრის“ მიერ მიღებულმა დაფინანსებამ შეადგინა 787.6 ათასი ლარი²⁹.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს ა(ა)იპ-ებისათვის არ მოუთხოვია ინფორმაცია გაწეული საქმიანობის, მიღებული სუბსიდიის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისა და პროგრამების შესრულების შესახებ.

გამოვლენილი გარემოება 2: 2013 წელს ა(ა)იპ-ებში დასაქმებული იყო 378 კაცი. მიღებული 1 550.2 ათასი ლარის სუბსიდიიდან შრომის ანაზღაურებაზე გაცემულია 1 080.9 ათასი ლარი (70%). 2014 წელს დასაქმებულთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 69-ით და შეადგინა 447 კაცი. მიღებული 1912.4 ათასი ლარის სუბსიდიიდან შრომის ანაზღაურებაზე გაცემულია 1 251.0 ათასი ლარი (65%). 2015 წელს დასაქმებულთა რაოდენობა კვლავ გაიზარდა 8-ერთეულით და შეადგინა 455 კაცი. მიღებული 1 716.3 ათასი ლარის სუბსიდიიდან შრომის ანაზღაურებაზე გაცემულია 1 296.1 ათასი ლარი (76%). ამდენად ა(ა)იპ-ებში 2013 წელთან შედარებით შტატები გაზრდილია 77 ერთეულით (20%), ხოლო შრომითი ანაზღაურება -215.2 ათასი ლარით (20%).



²⁹ 2014 წელს გაწეულია 433.9 ათასი ლარის ხარჯი, 2015 წელს - 353.7 ათასი ლარის.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით ვერ დასტურდება შტატების ზრდის აუცილებლობა³⁰.

რეკომენდაცია:

- მუნიციპალიტეტმა ა(ა)იპ-ებზე გამოსაყოფი სუბსიდიების ოდენობა განსაზღვროს მათ მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებსა და სამუშაოებზე გასაწევი დასაბუთებული ხარჯების საფუძველზე.
- მუნიციპალიტეტმა განიხილოს ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა შტატების ოპტიმიზაციის საკითხი, რათა გაიზარდოს მათი საქმიანობის პროდუქტიულობა და მოხდეს საბიუჯეტო რესურსების რაციონალური გამოყენება.

დაუსაბუთებელი ხარჯები

გამარტივებული წესით შესყიდული სამშენებლო სამუშაოები

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის, ასევე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის სამართლებრივი აქტების შესაბამისად³¹, 2012 წლის 1 ივლისის შემდეგ, გამარტივებული შესყიდვის გზით შეძენილი სამშენებლო სამუშაოების ღირებულება მიმწოდებელს უნდა აუნაზღაურდეს მის მიერ გაწეული ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.

გამოვლენილი გარემოება: 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული 225 ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდულია 2509.6 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოები. მუნიციპალიტეტი არ ითხოვდა მიმწოდებლებისგან ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ დოკუმენტაციას და მიმწოდებლებზე კანონმდებლობის დარღვევითაა ანაზღაურებული შესრულებული სამუშაოების ღირებულება. აღნიშნული წარმოშობს იმის რისკს, რომ საბიუჯეტო სახსრები ზედმეტად იქნა დახარჯული. მუნიციპალიტეტმა აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე მიმწოდებლებისგან გამოითხოვა შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ დოკუმენტაცია, მაგრამ მათ მიერ აუდიტის მიმდინარეობის დროს მოთხოვნილი დოკუმენტაცია არ იქნა წარმოდგენილი.

რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტმა სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვისას ანგარიშსწორება განახორციელოს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე. ამასთან, დაადგინოს წინა პერიოდში ანალოგიურ შესყიდვებზე ანაზღაურებული თანხების შესაბამისობა მიმწოდებლების მიერ გაწეულ ფაქტობრივ დანახარჯებთან. შეუსაბამოების არსებობის ან დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები.

³⁰ გარდა ა(ა)იპ „სკოლამდელი საადმინისტრაციო-საგანმანათლებლო დაწესებულებასა“ სადაც შტატების ზრდა ძირითადად გამოწვეულია ახალი საბავშვო ბაღების გახსნით.

³¹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანება.

საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება

კრიტერიუმი: ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად³², მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, კერძოდ: ამომჩევლებთან შეხვედრების, საკრებულოს სხდომებსა და მისი ორგანოების მუშაობაში მონაწილეობის მიღებისათვის გაწეული ხარჯები.

გარემოება: 2015 წელს საკრებულოს დადგენილებით³³, საკრებულოს წევრებზე, რომლებიც არ იღებენ ხელფასს, დამტკიცდა საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი³⁴ და ხარჯების ზღვრული ოდენობა თვეში განისაზღვრა 380 ლარით. საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებზე თანხები გაიცემოდა საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობისათვის. 2015 წელს გაცემულია 67.9 ათასი ლარი³⁵.

წარმოდგენილი ინფორმაციით, თანხები გაცემულია საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, რომლის შედგენის საფუძველია საკრებულოს აპარატის უფროსის მოხსენებითი ბარათი, საკრებულოს წევრების საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტაცია არ შეიცავს მონაცემებს კონკრეტულად გაწეული დანახარჯების შესახებ და არ არის საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება ხარჯის დასადასტურებლად.

სოციალური დახმარებები

კრიტერიუმი: ადგილობრივი მოსახლეობის დახმარების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სოციალური პროგრამები. დახმარებების გაცემა რეგულირდება საკრებულოს მიერ დადგენილი სოციალური დახმარებების გაცემის წესით, რომლითაც განსაზღვრულია სოციალური პროგრამები და კრიტერიუმები. ერთ-ერთი პროგრამა ითვალისწინებდა ხანძრით, მიწისძვრით და სხვა ბუნებრივი კატასტროფის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარებას. კრიტერიუმის მიხედვით დახმარება უნდა გაცემულიყო იმ ბენეფიციარებზე, რომელთაც სტიქიის შედეგად აღარ ჰქონდა საცხოვრებელი სახლი ან იგი საშიში იყო საცხოვრებლად.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტის მიერ საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მიხედვით, სოციალური პროგრამის ფარგლებში სულ გახარჯულია 1200.6 ათასი ლარი, აქედან ბუნებრივი კატასტროფის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარების პროგრამაზე 2014 წელს გაცემულია 116.9 ათასი ლარი, ხოლო 2015 წელს - 133.5 ათასი ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში გამოვლინდა ნაკლოვანებები. კერძოდ: მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წელს 7 შემთხვევაში დახმარებები გაცემულია ისეთ ბენეფიციარებზე, რომლებთაც დაუზიანდათ ან/და დაეწვათ დამხმარე ნაგებობები, ერთ

³² მუხლი 41.

³³ საკრებულოს 2015 წლის 26 თებერვლის №10 დადგენილება.

³⁴ საკრებულოს წევრებზე 2014 წელსა და 2015 წლის სამ თვეში დამტკიცებული ლიმიტების მიხედვით გაწეულია საწვავისა და კომუნიკაციის ხარჯი.

³⁵ 2015 წლის 15 მარტიდან 2016 წლის 1 იანვრამდე.

შემთხვევაში დახმარება გაცემულია ისეთ ბენეფიციარზე, რომელსაც დაეწვა ავტომობილი, სულ კრიტერიუმის დარღვევით გაცემულმა თანხამ 2.3 ათასი ლარი შეადგინა.

აღრიცხვა-ანგარიშგება, ინვენტარიზაცია

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საქმიანობა რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის, სამსახურის დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. სამსახურის ფუნქციებია: საბუღალტრო აღრიცხვა; ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების შესაბამისად ხარჯის გაწევა, ფინანსური ოპერაციების წარმოება; ფულადი სახსრების, ანგარიშსწორებისა და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარება და სხვა.

კრიტერიუმი 1: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციით ორგანიზაციაში ეკონომიკური მოვლენებისა და ნაკადების აღრიცხვა ხდება ანგარიშთა გეგმის შესაბამისად, პირველად დოკუმენტებში მოცემული ინფორმაცია გროვდება და სისტემატიზირდება სააღრიცხვო რეგისტრებში, რომლებიც შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთო მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით და წარმოადგენს ბუღალტრული ანგარიშგების შედგენის საფუძველს.

გამოვლენილი გარემოება: გამგეობის საფინანსო სამსახურის მიერ ბუღალტრული აღრიცხვა ნაწარმოებია „ერთიგონის“ პროგრამაში–შესაბამის ელექტრონულ ფორმებში, მაგრამ პირველადი დოკუმენტების საფუძველზე არ არის შესრულებული ბუღალტრული გატარებები და შედგენილი მემორიალური ორდერები. შესაბამისად, ნაშთები არ არის გადატანილი მთავარ წიგნში, რომლის საფუძველზეც უნდა მომზადდეს ფინანსური ანგარიშგება. გამგეობის მიერ წარმოებული ბუღალტრული აღრიცხვა არ იძლევა სათანადო და სრულყოფილ ინფორმაციას ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობისა და მის საკუთრებაში არსებული აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ.

კრიტერიუმი 2: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია დადგენილ ვადებში მოამზადოს პერიოდული და წლიური ანგარიშგებები, სადაც უნდა აისახოს ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტს 2014-2015 წლებში ფინანსური ანგარიშგებები არ შეუდგენია. დოკუმენტის არარსებობის გამო, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ წარედგინება ზუსტი და სრული ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. შედეგად, ვერ ხდება წლიური ფინანსური შედეგების განხილვა, შეჯამება, გასული და მიმდინარე წლების ფინანსური მდგომარეობის შედარება, რაც უზრუნველყოფს დასაგეგმი წლისათვის აქტივების რაციონალურ და ეფექტიან ხარჯვა-გამოყენებას.

კრიტერიუმი 3: „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს

ფინანსთა მინისტრის ბრძანების³⁶ თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა სამ წელიწადში ერთხელ მაინც.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 25 ნოემბრის №652 ბრძანებით შეიქმნა ინვენტარიზაციის კომისია. აუდიტის მიმდინარეობისას ინვენტარიზაცია არ იყო დამთავრებული და შედეგები (მეტობა ან დანაკლისი) გამოყვანილი. დაფიქსირებულია მხოლოდ ერთი „ნოუტბუქის“ და ორი მობილური ტელეფონის დანაკლისი, სულ ნარჩენი ღირებულებით 1.1 ათასი ლარი. ექსპერტიზის დასკვნის გარეშეა ჩამოწერილი სხვადასხვა ქონება, მათ შორის ისეთებიც რომელიც სრულად არ არის ამორტიზებული (გაცვეთილი) და ნარჩენი ღირებულება შეადგენს 0.6 ათას ლარს.

იმის გათვალისწინებით, რომ არ განხორციელებულა ინვენტარიზაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები და არ განხორციელდეს შესაბამისი რეაგირება.

შიდა აუდიტის სამსახური

კრიტერიუმი: „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებში 2014 წლის 1 იანვრამდე უნდა შექმნილიყო შიდა აუდიტის სამსახურები. სამსახური უნდა ეხმარებოდეს მუნიციპალიტეტს მიზნების მიღწევაში, მის წინაშე არსებული რისკების, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასებით. ახდენდეს მუნიციპალიტეტის საქმიანობის კანონმდებლობასთან, არსებულ წესებთან და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შეფასებას. სამსახურმა უნდა შეიმუშაოს რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტში შიდა აუდიტის სამსახური შეიქმნა 9 თვის დაგვიანებით, 2014 წლის 22 სექტემბერს, რითაც დაირღვა კანონის მოთხოვნები. მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ აუდიტორული შემოწმება ჩატარებულია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ 8 ა(ა)იპ-ში. ანგარიშების მიხედვით, აუდიტის ამოცანას წარმოადგენდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობის შემოწმება.

2014-2015 წლებში შიდა აუდიტის სამსახურს არ ჩაუტარებია გამგეობის სტუქტურული ერთეულების (სამსახურების) საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და არც 2016 წლის წლიური გეგმით არის გათვალისწინებული³⁷.

³⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

³⁷ 2015 წელს ჩატარებულია 2014 წლის ფინანსური ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის აუდიტი.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წამყვანი აუდიტორი:
გიორგი ჩახვაძე



ხელმოწერა 02.06.2016^წ თარიღი

აუდიტორი:
ლია გუჯაბიძე



ხელმოწერა 13.06.2016^წ თარიღი

აუდიტორი:
ბარამ ონიანი




ხელმოწერა 03.06.2016^წ თარიღი

აუდიტორი:
პაატა კუბლაშვილი



ხელმოწერა 03.06.2016^წ თარიღი

აუდიტორი:
ზურაბ ტუსკაძე



ხელმოწერა 03.06.2016^წ თარიღი